პროგრამის დასახელება: ფსიქოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
ფაკულტეტი: მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
სწავლების ენა: ქართული
დასაგროვებელი კრედიტების რაოდენობა: 240 ECTS
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის ბაკალავრი
მისაღები კონტინგენტი: 390

პროგრამის შესახებ

ფსიქოლოგის პროფესიას ძირითადად ადამიანების მოსმენისა და დახმარების სურვილის გამო ირჩევენ, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი, რომელიც ამ ადამიანებს აერთიანებთ, საკუთარი თავის უკეთ შეცნობის სურვილია.
ფსიქოლოგია ის პროფესიაა, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში გვხვდება და თითოეულ ჩვენგანზე აქვს გავლენა, ხოლო თუ შენ ამ პროფესიას სიღრმისეულად იცნობ, გიმარტივდება როგორც საკუთარი თავის მართვა, ასევე გარშემომყოფებისა და მათი ქცევების გაგება, გაანალიზება, გივითარდება დაკვირვებისა და საკითხების სიღრმისეულად შესწავლის უნარი.
ილიაუნი დაგეხმარება ისწავლო ყველაფერი, რაც გაინტერესებს ფსიქოლოგიის შესახებ, აირჩიო ის მიმართულება, რომელიც შენთვის ყველაზე ახლოა.
საბაკალავრო პროგრამა ფსიქოლოგია შემუშავებულია 2011 წელს და ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ახლდება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.
ფსიქოლოგიის სპეციალობა განკუთვნილია მათთვის, ვისაც ადამიანის ქცევა აინტერესებს და სურს შეისწავლოს ფსიქოლოგიის თეორიები და მოდელები, ასევე ქცევის, შემეცნებითი პროცესების, ემოციური სფეროს, მოტივაციისა და პიროვნების ფსიქოლოგიის ზოგადი კანონზომიერებები და მათი ბიოლოგიური საფუძვლები. ფსიქოლოგიის პროგრამას ასწავლიან, დარგის გამოცდილი სპეციალისტები, პრაქტიკოსები, მკვლევრები, ჩართულნი საერთაშორისო პროექტებში. პროგრამა ასევე მოიცავს საბაზისო მოდულს, რომელიც მიმართულია სტუდენტის ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის, ანალიზის, არგუმენტაციის, პრობლემების შეფასებისა და შემოქმედებითად გადაჭრის, გუნდში ეფექტურად მუშაობის უნარების განვითარებისკენ.

პროგრამის მიზანი
პროგრამა მიზნად ისახავს გააცნოს სტუდენტს ფსიქოლოგიის ძირითადი ცნებები, თეორიები და მეთოდები; განუვითაროს კრიტიკული აზროვნების, ფსიქოლოგიური მოვლენებისა და პროცესების ანალიზის, შესწავლის, ახსნისა და შეფასების უნარი. პროგრამა ასევე ორიენტირებულია სტუდენტს მისცეს ცოდნა ფსიქოლოგიის სხვა მეცნიერებებთან (საბუნებისმეტყველო, სოციალური) მიმართების შესახებ.

სწავლის ძირითადი მიმართულებები
ფსიქოლოგიის მეცნიერება მრავალ დარგსა და ქვედარგს მოიცავს, შესაბამისად, პროგრამაში შესულია ისეთი საგნები, როგორებიცაა: კლინიკური ფსიქოლოგია, განვითარების ფსიქოლოგია, პიროვნების ფსიქოლოგია, განწყობის ფსიქოლოგია, კოგნიტური ფსიქოლოგია, ექსპერიმენტული ფიზიოლოგია, განათლებისა და სოციალური ფსიქოლოგია.

სწავლის შედეგები

ფსიქოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებული / კურსდამთავრებულს

- ექნება ზოგადი ცოდნა ფსიქოლოგიის ძირითადი ცნებების, თეორიების, განვითარების ტენდენციების, მათ შორის ქცევის ფიზიოლოგიური საფუძვლებისა და ემპირიული კვლევის შედეგების, შესახებ;
- რეალურ კონტექსტში/გარემოში არსებული სხვადასხვა პრობლემის/მოვლენის ან ქცევის შესწავლის მიზნით შეძლებს დაგეგმოს და განახორციელოს კვლევა წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, შესაბამისი თეორიული ჩარჩოს გამოყენებითა და კვლევის შეზღუდვების გათვალისწინებით;
- შეძლებს მონაცემების სტატისტიკურ დამუშავებას, ანალიზსა და წარმოდგენას ბაზისურ დონეზე შესაბამისი პროგრამული პაკეტის გამოყენებით;
- ექნება კრიტიკული აზროვნების უნარი და გააცნობიერებს ემპირიული მტკიცებულების მნიშვნელობას დასაბუთებული მსჯელობისთვის; შეძლებს კომპლექსური ინფორმაციის ანალიზს, სინთეზსა და ინტერპრეტაციას;
- შეძლებს პროფესიულ და კვლევით საქმიანობაში ეთიკის პრინციპების დაცვას;
- შეძლებს ეფექტურ ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
- შეძლებს მოახდინოს თვითრეფლექსია, გამოამჟღავნებს ავტონომიურობას სწავლისა და უნარების განვითარების პროცესში.

სწავლის მეთოდები

სწავლის მეთოდები მოიცავს სალექციო ფორმატს, დისკუსიაში ჩართულობას, ჯგუფურ და დამოუკიდებელ სამუშაოებს, პრეზენტაციებს, გამოკითხვას, საშინაო დავალებების შესრულებასა და ელექტრონული სწავლების ელემენტებს.

დასაქმების შესაძლებლობები

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს ფსიქოლოგის დამხმარე პოზიციაზე ქვემოთ ჩამოთვლილ სექტორებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც ატარებენ კვლევებს ფსიქოლოგიის სფეროს საკითხებთან/პრობლემებთან დაკავშირებით ან ახორციელებენ ფსიქოსოციალურ მომსახურებას:

- საჯარო დაწესებულებები;
- არასამთავრობო სექტორი;
- საერთაშორისო ორგანიზაციები;
- კერძო სექტორი;
- მასმედია;
- ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები – საბავშვო ბაღი, სკოლა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- სამართალდაცვის, სასჯელაღსრულების დაწესებულებები.

სასწავლო პროგრამის სტრუქტურა

ფსიქოლოგიის მიმართულების დასრულებისთვის სტუდენტმა პროგრამის სასწავლო კომპონენტებიდან უნდა გაიაროს:

ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი:

- ფსიქოლოგიის სავალდებულო კურსები – 72 კრედიტი
- ფსიქოლოგიის არჩევითი კურსები – 48 კრედიტი

ზოგადი მოდული - 60 კრედიტი:

- შესავალი თანამედროვე აზროვნებაში I, II – 12 კრედიტი
- აკადემიური მუშაობის ტექნიკები – 6 კრედიტი
- სტატისტიკა – 6 კრედიტი
- ინგლისური ენის პრაქტიკული კურსები – 24 კრედიტი
- შესავალი კურსები კოდით INTRO – 12 კრედიტი

დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი – 60 კრედიტი

მოდულის სახელწოდება	ECTS კრედიტი
საუნივერსიტეტო საბაზო მოდული	60
ძირითადი (major) პროგრამა	120
მეორე (minor) პროგრამა ან თავისუფალი კრედიტები (არჩევითი კურსები)	60

მიღების პროცედურები და ჩასაბარებელი გამოცდები

თუ გსურს ისწავლო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფსიქოლოგიის პროგრამაზე, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე აირჩიე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პროგრამა – ფსიქოლოგია და ჩააბარე ერთიანი ეროვნული გამოცდები.

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი გამოცდები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები

ჩასაბარებელი გამოცდები	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი	პრიორიტეტი	კოეფიციენტი	ადგილების რაოდენობა
ქართული ენა და ლიტერატურა	25	2	4	
უცხო ენა (ინგლისური; გერმანული; ფრანგული; რუსული)	20	3	2	
ან მათემატიკა	20	1	5	100
ან ისტორია	25	1	5	240
ან ბიოლოგია	25	1	5	50

საკონტაქტო ინფორმაცია

➳ ი. ჭავჭავაძის გამზ. N32, ოთახები: A 201, A 302

☏ (+995 32) 222 00 09 (200)

✉ anuki.jikidze.1@iliauni.edu.ge

✉ eka_pataridze@iliauni.edu.ge